დანართი 1.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფორმისა და მოთხოვნების მიხედვით.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ–ს სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი, დოქტორანტი, ან მოწვეული პედაგოგი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით სწავლების, კვლევის ან მუშაობის გამოცდილება.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, მიმართულება და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან სამიზნე ჯგუფის და პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლები. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სადაო საკითხებს წყვეტს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

5. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

6. მას შემდეგ, რაც აკადემიური საბჭო დაამტკიცებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას, თსუ აკეთებს განაცხადს სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში ამ პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე (თუ აღნიშნულ პროგრამას უკვე მიღებული აქვს აკრედიტაცია სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ, მაშინ განმეორებით განაცხადის გაკეთება საჭირო არ არის).

7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაზე განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის ნუსხაც განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით.

8. სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა თსუ საინფორმაციო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე.

9. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად უნდა მიმდინარეობდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და სრულყოფა.

10. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს წინაშე.

11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების ვადებს ადგენს თსუ აკადემიური საბჭო, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის თანახმად.